საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 21 0000416096

27/04/2021

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 5 ნოემბერს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა № 9382

(ცენტრში რეგისტრაციის № 1075498; 06/11/2020) სააკრედიტაციო განაცხადი “მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის № 1138801 ბრძანების საფუძველზე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 17 დეკემბრის №1209215 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 29 დეკემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2021 წლის 19 თებერვალს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 13 აპრილს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუმქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 17 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1.დაკმაყოფილდეს შპს კავკასიის საერთაშორისოუნივერსიტეტის მიერ წარმოდგნილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 27 აპრილის №416093 სხდომის ოქმის № - 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

4.1 გაძლიერდეს კრიტიკული თეორიის სწავლება „თანამედროვე კომუნიკაციის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“ კურსის ფარგლებში. (ან დაემატოს არჩევითი კურსი);

4.2 სამეცნიერო კვლევის მეთოდების კურსი დაიყოს თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდოლოგიის კურსებად და ისწავლებოდეს ორი სემესტრის განმავლობაში ნაცვლად ერთისა.

4.3 გაძლიერდეს მონაცემების სტატისტიკური ანალიზის კომპონენტი ან არსებულ სილაბუსში საათების დამატებით, ან ცალკე არჩევითი საგნის შეთავაზების, ან ორივე აღნიშნული გზით.

რჩევები:

4.4 რამდენადაც, მოთხოვნი სშესაბამისად, დოქტორანტისთვის აუცილებელია ინგლისურიენის B2 დონეზე ფლობა, რომელიც სრულიად საკმარისია აკადემიური ტექსტის გაგებისთვისაც, ამ ენაზე საკუთარი ტექსტის აგებისთისაც და პროგრამის შედეგებზე გასვლისთვისაც, მაინც, სასურველი იქნება, უნივერსიტეტმა დოქტორანტებს (დოქტორანტების სურვილის შემთხვევაში) ცოცხალი მეტყველების უნარების გასაუმჯობესებლად (მრგვალი მაგიდებისთის, კონფერენციებისთვის და ა.შ), მისცეს საშუალება, გაიუმჯობესოს სამეტყველო უნარ-ჩვევები უნივერსიტეტშივე - დამატებითი ტრენინგებით, რომელიც შესაძლოა, მთელი უნივერსიტეტის ყველა პროგრამის დოქტორანტებისთვის საერთო იყოს.

4.5 კურსის - „პროფესორის ასისტენტობა“ სათაურში გათვალისწინებულ იქნას კურსის პრაქტიკული დატვირთვის მქონე შინაარსიც, რამდენადაც იგი უფრო მეტად შეესაბამება დოქტორანტის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის გამოცდილების შეძენას, ვიდრე ასისტენტობის პრაქტიკისა. გარდა ამისა, სასურველია, მიეცეს სტუდენტს საშუალება, დაგეგმოს და ჩაატაროს არჩევითი სასწავლო კურსიან მოდულის წავლების ქვედა საგანმანათლებლო საფეხურების პროგრამებისთვის.

4.6 ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, სასურველია, დაწესებულებამ პირველ ეტაპზე, გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან; ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს

და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო დონორების, საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ, გაუწიოს კონსულტაცია საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული ერასმუსის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოს სტუდენტების სათანადო, კონკურენტუნარიან კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.

4.7 უცხოელ პარტნიორებთან პროგრამის დაახლოება და მათი კურიკულუმების შესწავლა არა მარტო დისტანციურად, არამედ უშუალო კონტაქტის მეშვეობითაც.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს - 2021 წლის 27 აპრილს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ